საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №205
2014 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №3-ში „ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები“ შეტანილ იქნეს ცვლილება და სახაზინო კოდი - „3243“-ის (შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში) წინ დაემატოს შემდეგი შინაარსის „3242“ სახაზინო კოდი:

„შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	3242“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**